



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 36  
03/09/2021

36-04-4-202109031523



**სსიპ - „ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა აკ. წერეთლის ქ. №4 (ყოფილი №3)-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 63.20 კვ.მ. ფართობის (ს/კ 21.03.34.286.01/501) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - „ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა“-სათვის (ს/კ 246755738) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

